პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

129

წითელი არმიელი

66 (1061)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

მოსახლეობის გასამხედროება.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას საქართველოს წითელი ჯარის წინაშე მის არსებობის მე-6-ე წელში, არის მოსახლეობის ფართე მასების გასამხედროება.

ტერსისტემაზე გადასვლის პირველმა ნაბიჯებმა მოგვცეს ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგები.

შეკრებები, რომელნიც ჩატარდნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, ბრწყინვალე დამამტკიცებელია იმის, რომ საქართველოს მშრომელნი შეხვდნენ ტერადმშენებლობას შეგნებულად.

ეხლა ჩვენს წინაშე წამოჭრილია საკითხი მოსახლეობის გასამხედროების შესახებ და აქეთკენ უნდა იყვეს მიმართული მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ენერგია.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ვაარსებთ სამხედრო კუთხეებს. ეს კუთხეები უჯრედებია, სადაც სწარმოებს მუშაობა მშრომელთა გასამხედროების მიზნით.

და თუ ეს მუშაობა დავაყენეთ სწორ და საღ ნიადაგზე, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ამოცანა ჩვენ მიერ შესრულებულ იქნება.

აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხედრო კუთხეს. ამიტომ კუთხის ორგანიზაცია და მუშაობის წარმოება მოითხოვს ხელმძღვანელისაგან დიდ დაკვირვებას და ყურადღებას.

სამხედრო კუთხეების საშვალებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სოფელს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა სამხედრო ხელოვნებაზე, წითელი არმიის განვითარებაზე და მომავალ ამოცანებზე, ვინაიდან ჩვენი სოფელი ჯერ-ჯერობით არ იცნობს ზედმიწევნით წითელ ჯარს.

და შემდეგ, როდესაც გლეხი გაერკვევა წითელი არმიის ვითარებაში, გაიცნობს მის მიზნებს, სხვა და სხვა ხასიათის წრეების საშვალებით მას ჩავაბამთ უფრო სერიოზულ, ნამდვილ სამხედრო ხასიათის მუშაობაში.

სამხედრო კუთხეების პირველი ამოცანაა დაიახლოვოს გლეხობა, მიიზიდოს იგი, შეაყვაროს სამხედრო საქმიანობა. კუთხის მუშაობა უნდა იქნეს სისტემატიური, აგებული გეგმიანად, შიგ უნდა სუფევდეს სამხედრო დისციპლინა, ამ გზით მცხოვრებლებს მივაჩვევთ წესრიგს და მეორე მხრივ დაინახავენ რა კუთხის სისტემატიურ მუშაობას, მოეპყრობიან მას მეტი პატივისცემით, რაც დიდი მიღწევა იქნება კუთხის მუშაობაში.

მემარცხენე ბლოკის გაკოტრება.

ოცდაოთხი წელი სოციალ-შემთანხმებელთა და ყოველ ჯურის პაციფისტების აყვავების ხანა იყო. დემოკრატი ერიო საფრანგეთში და რეფორმისტი მაკდონალდი ინგლისში ხელისუფლებას დაეუფლენ. ისინი ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკიოდენ, რომ ამიერიდან ბოლო მოეღება სისხლისმღვრელ ომებს და ყოველგვარი უთანხმოებანი სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან გზით იქნება მოგვარებული. ეს ორი პირი უდიდესი მოციქულები იყვნენ კლასთა სოლიდარობისა და თანამშრომლობისა, ე. ი. პროლეტარიატის ბურჟუაზიის მიერ ექსპლოატაცია-ყვლეფისა. კომპარტიამ იმ თავითვე გამოაშკარავა სოციალ-შემთანხმებელთა და ბურჟუაზიის ხრიკები. სოციალ-შემთანხმებელთათვის ხელისუფლების გადაცემა აიხსნებოდა მით, რომ საერთოდ კაპიტალისტურ ევროპაში—კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთში იმ ხანად რევოლიუციონური სიტუაცია იყო, რომლის შენელებისათვის აუცილებელი საჭირო იყო, როგორც ეს ასეთ შემთხვევებში ხდება, სოციალ-გამცემლების მოწვევა. მართლაც, მათ არ გასჭირვებიათ თავისი მოვალეობის ასრულება. იმათმა ისეთი დაპირებები მისცეს წვრილ ბურჟუაზიას და მუშათა კლასს, სადაც მათ კიდევ ქონდათ მაშინ გავლენა, რომ იმათმა სავსებით ენდვენ მათ. მაგრამ ილიუზიებს და იმედებს ადრე მოეღო ბოლო. როგორც კი თავიანთი საქმე მოათავეს ჯერ მაკდონალდი და შემდეგ ერიო ბურჟუაზიამ გადმოაყირავა. ინგლისში დღეს უკვე გამორკვეული მდგომარეობაა: იქ მსხვილი ბურჟუაზიის—კონსერვატორთა პარტია ბატონობს სავსებით. საფრანგეთში ეს პროცესი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მემარცხენე ბლოკის (წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების და სოციალისტების კავშირი) ხელში გადავიდა, ეს კი ორი წლის ისტორიით განისაზღვრება, დღეს მისი მეცხრე მთავრობაა, რომლის მდგომარეობა ფრიად უნუგეშოა.

რით აიხსნება მთავრობების ასეთი ჩქარი ცვლა? მემარცხენე ბლოკმა, როდესაც ამომრჩეველთა ხშირი უმეტესობა შეკრიბა, მათ შეპირდა: იაფი ცხოვრება და გადასახადის შემცირება. ცხოვრების გაიაფებისათვის საჭირო იყო ფრანკის ღირებულების (ფრანგული ფულის ერთეული) განმტკიცება, რასაც ვერ შესძლებს საფრანგეთის ვერც ერთი ბურჟუაზიული მთავრობა—ვინაიდან საფრანგეთის ხაზინას უდიდესი დეფიციტი აქვს, გარდა ამისა მას კისერზე აწევს ინგლისის და ამერიკის ვალი, რომლის მხოლოდ პროცენტების გადახდას ვერ ახერხებს ამ ჟამად საფრანგეთი. მემარცხენე ბლოკმა ვერც ერთი დაპირება ვერ განახორციელა, რადგან ძალაუფლების ფაქტიური პატრონი მსხვილი ბურჟუაზიაა, რომელიც ფრანკის დაცემით სპეკულიაციას ეწევა ფულზე. გადასახადების შემცირების მაგივრად მემარცხენე ბლოკმა შემოიღო ახალი გადასახადები პირველ მოთხოვნილების საგნებზე, რომლის წინააღმდეგ თვით წვრილ ვაჭრებმაც გაფიცვა გამოაცხადეს. მემარცხენე ბლოკის ორი წლის მოღვაწეობამ მოგვცა: მტაცებლური ომი მაროკოში და სირიაში და მეორეს მხრივ ფრანკის წარმოუდგენელი დაცემა და ცხოვრების საშინელი სიძვირე. ამომრჩეველი სავსებით გაკოტრდა მემარცხენე ბლოკში. დღეს ის ისეთი არა პოპულიარული შეიქნა, რომ ფრანგი სოციალისტებიც—ამ ბლოკის ავტორები—გაურბიან მას. მთავრობა ნელ-ნელობით მემარჯვენეთა ხელში გადადის. მემარცხენე ბლოკის გაკვეთილი უნაყოფოდ არ დარჩენილა მუშათა კლასის იმ ნაწილისათვის, რომელიც ენდობოდა სოციალ-შემთანხმებლებს. დღეს მათი გამცემლური სახე სავსებით ნათელია „ყველა მშრომელისათვის. მომავალში მუშათა კლასს მემარცხენე ბლოკის გაკვეთილი კარგ სამსახურს გაუწევს.

ნ. უ.

ახალი რადიო ამბები

ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ

ამ ხანებში ბულგარეთის სასამართლომ სამოცამდე სიკვდილის განაჩენი გამოუტანა პოლიტიკურ პატიმრებს. ამის გამო თეთრი ტერორის მსხვერპლთა დამცველ საფრანგეთის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება თეთრი ტერორის მოქმედების საპროტესტოდ. კომიტეტი მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას.

პროტესტს ხელსაწერს მწერლები სიმონ როლანი, ბარბიუსი და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები.

ბრაზილია უარყოფს

ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით უარყოფს იმ ცნობებს, თითქოს ბრაზილიის გამოსვლა ჟენევაში შთაგონებული ყოფილიყოს იტალიის მთავრობის მიერ.

პროტესტი შანხაიში მომხდარ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

რემედასის გერმანულმა სექციამ, ომის მსხვერპლთა დამხმარე საერთაშორისო კავშირმა და მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების გერმანიის სექციამ გაუგზავნეს ჩინეთის იუსტიციის მინისტრს და უცხოელთა ექსტერიტორიალობისათვის მომხდარ კონფერენციის თავმჯდომარეს—პეკინის უნივერსიტეტის პროფესორ ძუმონ-გუის საპროტესტო დეპეშა შანხაის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ლუი-უ-ხუას და გლეხთა ლიდერის—ძეუ-სუი-პინგას სიკვდილით დასჯის გამო, რომლებიც დახვრეტილი იქნენ გენერალ სუნ-ჩუან-ფანის ბრძანებით და შანხაის საერთაშორისო მუნიციპალური საბჭოს დასტურით.

საზღვარგარედ მყოფ საბჭოთა კავშირის სტუდენტების კონფერენცია

ბერლინში გაიხსნა საზღვარგარედ მყოფ საბჭოთა კავშირის სტუდენტების სრულიად ევროპის კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, ავსტრიის, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატები—სულ ორასამდი სტუდენტი.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ სტალინი, რიკოვი, ტომსკი, კალინინი, პეტროვსკი, ლუნაჩარსკი და სხვები.

კონფერენციამ გაუგზავნა მისალმების დეპეშები საკავშირო კომპარტიის ცეკას, სსრკ-ს ცაკსა და სახკომსაბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და წითელ არმიას.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმი

ამხ. ორახელაშვილის მოხსენება.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმმა მოისმინა მოხსენება საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის კულტურულ აღმშენებლობის შესახებ.

„საბჭოთა საქართველოს მტრები—განაცხადა ამხ. ორახელაშვილმა—დღემდისაც ავრცელებენ ჭორებს ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის შესახებ.

საკმარისია გაკვრით გადავხედოთ საქართველოს კულტურულ აღმშენებლობას, რომ დავრწმუნდეთ ამ ქვეყნის განუწყვეტელ ზრდაში.

5 წლის განმავლობაში გახსნილ იქნა 65 საბავშო სახლი, რომლებშიაც დადის 4.000-მდი ბავშვი.

ოთხწლედების რიცხვი უდრის 1664. მენშევიკების დროს ამ სკოლებში დადიოდა 106.000 მოწაფე, ამჟამად კი—206.000.

საქართველოში ამჟამად მუშაობს 8 ათასიანი მასწავლებელთა არმია, რომელიც სავსებით სდგას საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

მეორე საფეხურის შრომის სკოლის მასწავლებლის საშუალო ხელფასი უდრის 50 მანეთის თვიურად, სპეციალურ ტეხნიკუმების—80 მანეთს, უმაღლეს სკოლების—125 მან."

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს აზერბეიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს მიღწევები ამ რესპუბლიკების კულტურულ აღმშენებლობაში.

საბჭოთა კავშირში

ძმური ხელი

დახმარება ჩინეთის გაფიცულ მუშებს.

საბჭოთა კავშირის მელითონე მუშათა ცენტრალურ კომიტეტმა გადასდო ჩინეთის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად ხუთიათასი მანეთი.

ექიმ კარავაევის მკვლელთა საქმე

18 წლის წინად ეკატერინოსლავში მოკლულ იქნა ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ექიმი კარავაევი.

მეფის სასამართლომ გაამართლა მკვლელები, რომლებიც მიიმალენ ეკატერინოსლავიდან.

გასულ წელს ისინი გამოაშკარავებულ იქნენ და წარსდგენ პროლეტარულ სასამართლოს წინაშე.

მკვლელებს შალდოსა და შჩეკუნენკოს მიესაჯა დახვრეტა. შელესტოვს მიესაჯა 10 წლის და მღვდელ ბალაბანოვს—6 წლის ციხე.

ორშაბათს, 29-მარტს, საღამოს 6-საათზე წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

მოხსენება „ზაჰეს"-ში წარმოებულ სამუშაოთა შესახებ.

საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოგადაღება „ზაჰეს"-ში წარმოებულ სამუშაოებისა.

პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიის სამხკორთა მესამე თათბირი.

სამხკორებმა ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი სამხედრო გაზეთების დაახლოებას ამიერკავკასიის მშრომელთა მასებთან.

ჩვენი მუშაობის საერთო პირობები რთულდება, იზრდება მოთხოვნილება მუშაობის ყველა სახის მიმართ და მათ რიცხვში სამხკორთა მუშაობისადმი. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი მუშაობის ხარისხოვანების გაუმჯობესებას.

დასასრულ ამხ. ანჩარსკი დაწვრილებით ჩერდება გამომაამშკარავებელ მასალაზე. ამ ხასიათის მასალების სამოცი პროცენტი ყალბი გამოდგა. ეს დიდი ციფრია. რა იქნებოდა ეს ცნობები რომ გაზეთში გასულიყო. . . სამხკორთა ძირითადი ამოცანაა—არმიის საბრძოლო ძლიერების განმტკიცება.

სამხკორს არავინ უკრძალავს წერას ნაკლულევანებაზე, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სამხკორის ყველა ცნობა მოთავსებული იქნას.

ხშირად არმიის საბრძოლო ძლიერების ამაღლების ინტერესები მოითხოვენ, რომ ესა თუ ის ცნობა, გამომაამშკარავებელი მასალა არ იქნას მოთავსებული, არამედ გადაეცეს არმიის სათანადო ორგანოებს. სამხკორთა ცნობების უმეტესობის მიხედვით ზომები მიღებულია. მომავალში ეს მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესებულ იქნება.

კამათი მოხსენების გარშემო.

ამხ. ანჩარსკის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 17 დელეგატმა.

ამხანაგები უმთავრესად ლაპარაკობდენ ასეულის სამხკორთა წრეებსა და ასეულის კედლის გაზეთებზე გადასვლის შესახებ. ზოგი კი აღნიშნავდა, რომ საჭიროა დაცულ იქნას ლეგიონის გაზეთი და ლეგიონის წრე, ვინაიდან მათი საშვალებით იზრდება სამხკორთა აქტივი, რომლისთვისაც ვიწროა ასეულის წრის ფარგლები.

ხელმძღვანელების შესახებ ამხანაგები გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ სამხკორთა მუშაობის ხელმძღვანელობა მთლიანად გადავიდეს პარტიულ ორგანიზაციების ხელში და რომ ისინი არ სთვლიდენ სამხკორთა მუშაობას თავის უკანასკნელ საქმედ, არამედ, აქცევდენ მას უდიდეს ყურადღებას.

კამათში სერიოზული ადგილი დაიკავა საკითხმა წრეებში მუშაობის ხარისხიანობის გაუმჯობესების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული სამხკორთა მუშაობაში სახელმძღვანელო ლიტერატურის სიმცირეზე, სამხკორის გასამხედროების სუსტ ხელმძღვანელობაზე, მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის სუსტ მონაწილეობაზე სამხკორთა მოძრაობაში და ხელმძღვანელთა საგრძნობ სიმცირეზე.

სამხედრო პროპაგანდა ამიერკავკასიის სამოქალაქო პრესაში.

ამხ. ლევინის მოხსენება.

სამხედრო განყოფილებებმა სამოქალაქო გაზეთებში ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის ჯარის გარეშე მომზადებას (გასამხედროება სკოლების, სასროლო წრეების მოწყობა მუშათა კლუბებში და სოფლებში, სამხედრო კუთხეების მოწყობა და სხვა) და მეორეს მხრივ დაუახლოოს წითელი არმია ამიერკავკასიის მშრომელებს. სამხედრო გაყოფილებებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტერიტორიალური შეკრება, წვევამდე მომზადება, გაწვევა და განთავისუფლება, სადაც ამ საკითხებში უნდა მისცენ ხელმძღვანელობითი ხასიათის და განმმარტავი წერილები.

უკანასკნელ დროს ამიერკავკასიის სამოქალაქო გაზეთებში სამხედრო პროპაგანდის დაყენების საქმეში ჩვენ ერთგვარი მიღწევები გვაქვს. მთელ რიგ გაზეთებში ჩამოყალიბდა სამხედრო განყოფილებები და ისინი გახდენ ცოტათ თუ ბევრად მუდმივი. სამხედრო განყოფილებათა ხელმძღვანელობის საქმეში პოლიტორგანოების მხრივაც გვაქვს ერთგვარი მიღწევები.

მუშაობის ხაზი, რომელიც აღებული აქვს სამხედრო განყოფილებებს, ძირითადად სწორია, მაგრამ საჭიროა უფრო დაწვრილებითი გაგება გარემოების, და თვითეული გაზეთის თავისებურობის აღრიცხვა.

მორიგი ამოცანაა—მუშკორებისა და სოფლკორების ჩაბმა მოსახლეობის გასამხედროების გაშუქებაში და სამხკორთა კადრის ორგანიზაცია სამოქალაქო გაზეთების გარშემო; ტერნაწილების სამხკორები მოწყვეტილი არიან სამხედრო განყოფილებებს,—ჩვენი ამოცანაა მივიზიდოთ ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ჯარაღმშენებლობის სისტემატიური გაშუქება ამიერკავკასიაში.

შემდეგ ამხ. ლევინი აღნიშნავს, რომ არმიის ეროვნულ ნაწილების ცხოვრება სუსტად შუქდება პრესაში. ამ ნაკლის გამოსწორება უნდა მოხდეს ეროვნულ დივიზიების სამხკორთა მიზიდვით.

სამხედრო საქმე

ბრძოლის წესი და ილეთები.

თუ როგორ შეუთანხმდეთ მტრის ილეთებს ეს ოსტატობაა, რომელიც კი თავის მხრით გვითითებს, თუ როგორ ვიმოქმედოთ.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა თავდაპირველად არის მოპირდაპირეების თვით პირადი ხარისხების ბრძოლა, და რამდენად ეს ხარისხი ჩვენში კარგია ან უკეთესია იმდენათ ჩვენთვის არ არის საშიში არავითარი ბრძოლის მსვლელობაში ახლად შემოღებული ილეთები და წესები.

ავიღოთ სამოქალაქო ომი. აქ წითელი არმია ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეხეთებოდა სულ ახალ-ახალ მტრის მიერ ხმარებულ წესებს და ილეთებს. მის წინააღმდეგ მოქმედობდენ ტანკებიც—მაგრამ წ. არმიელნს ვერაფერს აკლებს ეს მისთვის ახალი ტეხნიკა. რისთვის? მისთვის, რომ ჩვენი წ. არმიელი, თუმცა მართალია, ტეხნიკით დიდათ სუსტნი იყვნენ მტერზე, მაგრამ ისინი თვით იყვნენ ძლიერნი—შეურყეველი გამბედაობით, ენერგიით, თავისი სიმართლის შეგნებით. მათ კონდათ შეგნებული სამოქალაქო ომის ხასიათი, რითაც მათ ემატებოდათ მტრის საწინააღმდეგოდ ისეთი ძალა, რომელზედაც მიემტვრა ყველა ტეხნიკა და მათ შორის ტანკები დენიკინის, კოლჩაკის, ვრანგელის და თვით იმ ანტანტის, რომლის ტანკებმა ორი—სამი წლის წინ შეაფეთეს გერმანელი ჯარის კაცები.

წითელი მებრძოლები თავის ბრძოლაში ნახულობდნენ გამარჯვებისათვის საჭირო ილეთებს და წესებს. ბრძოლა თვით შობს წესებს და ილეთებს და უთითებს კიდეც მებრძოლს მის ხასიათს, წარმოშობას და მასზე შეთვისებასაც.

ასეთია ბრძოლის არსებითობა,—აქ ყოველივე მჭიდროდ არის დამოკიდებული ერთი მეორეზე და ყოველივეც გამომდინარეობს თვით ამ არსებობიდან.

თუ კი ყოველივე ეს ჩვენ წინასწარ გვეცოდინება, ეს იქნება ჩვენთვის მდგომარეობის წინ თვალახილული დგომა, რაიც თავისი მხრით კარგი რამ არის ბრძოლის მოგებისათვის.

დ. მელაძე.

ხელის ყუმბარები.

მსოფლიო ომის დასაწყისში არც ერთი მებრძოლი სახელმწიფო არ იყო საკმაოთ მომარაგებული ხელის ყუმბარებით. ომის მსვლელობამ დააყენა ხელის ყუმბარების ფართო მოხმარების საკითხი.

ყველა ნიმუშის ხელის ყუმბარები იყოფა რამოდენიმე ჯგუფათ. დაყოფა ხდება შემდეგი ნიშნებით:

1) აფეთქებით (ე. ი. როგორ ხდება აფეთქება) 2) დანიშნულებით (რის დასახგრევათ გამოგვადგება). აფეთქების ხასიათით ყველა ყუმბარები იყოფა ორ ჯგუფათ:

1) ხელის ყუმბარები—მანძილზე მოქმედების.

2) ხელის ყუმბარები—დამრტყმელი მოქმედების. მანძილზე მოქმედების ხელის ყუმბარები, ისეთი ყუმბარებია, რომლებიც აინთებიან ტყორცნის მომენტში, სანამ ყუმბარა გაიფრენს მანძილს მიზნამდი, ცეცხლი ინახება სპეციალურ მანძილის მილში, რომელიც იწვის განსაზღვრულ დროში, (4—13 წამამდეს) როდესაც ცეცხლი მიაღწევს „დეტონატორამდი“, მოხდება აფეთქება.

ჩვეულებრივათ ხდება, რომ ყუმბარა დაეცემა მიზანთან და რამოდენიმე ხანს არ ფეთქდება, რადგან არ არის დამწვარი სამანძილო შემადგენლობა და ცეცხლს არ მიუწევია დეტონატორამდი. ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს ამ ყუმბარის ერთ უდიდეს უარყოფით მხარეთ, ვინაიდან, სანამ ყუმბარა აფეთქდება მიზანი მოასწრებს მიმალვას. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახლათ შემოღებულ ხელის ყუმბარებისთვის შემცირდეს სამანძილო შემადგენლობის წვის დრო—3 წამამდი.

დადებითი მხარეები ამ ტიპის ყუმბარების.

1) აფეთქების უნარიანობა ყოველ ადგილ-მდებარეობაზე და ყოველ დროს (თოვლში, წყალში, ტალახში).

2) უხიფათობა მოხმარებაში, თუ ყუმბარას გაუჩნდა უცაბედი ცეცხლი, მეყუმბარე მაინც მოასწრებს გადატყორცნას აფეთქებამდი.

დამრტყმელი მოქმედების ხელის ყუმბარები ისეთი ყუმბარებია, რომლებიც გადაიტყორცნებიან აუნთებლათ, გაიფრენენ მიზნამდი მანძილს აუნთებლათ და აფეთქდებიან დაცემის შემდეგ.

განსხვავება მანძილის ყუმბარას და დამრტყმელი ყუმბარის მოწყობილებაში შემდეგია:

უკანასკნელს არ აქვს სამანძილო შემადგენლობა ფიალადეტონატორში. ამის გამო ხდება რომ დაცემის დროს ნემსა ააფეთქებს ფიალას, ცეცხლი უშუალოთ ვარდება დეტონატორში და აფეთქებს მაშინვე ყუმბარას.

ეს ითვლება ამ ყუმბარის ერთ დადებით მხარეთ, რადგან აწრაფ აფეთქების დროს, მიზანი ვერ ასწრებს მიმალვას და დამარცხდება.

ამ ყუმბარის უარყოფითი მხარეები შემდეგია:

1) აფეთქების უნარიანობა აქვს მხოლოდ მაგარ საგნების მოხვედრის შემდეგ, (თოვლში, ჭაობში არ აფეთქდება).

2) ხიფათიანობა მოხმარებაში, ტყორცნისათვის მომზადებული ყუმბარა, თუ ძლიერ დაინჯღრა—მოხდება აფეთქება.

ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ დამრტყმელი ყუმბარა, მოხმარებაში თავის უხერხულობით თავის მოწყობილებით და აქედან კი—თავის საბრძოლო უნარიანობით ბევრათ დაბლა სდგას მანძილის ყუმბარაზე.

ვ. შოთაძე.

ლოკარნოს გარდაცვალება*)

„მოკვდა ლოკარნოს სული“ სწერს იტალიის ერთი გაზეთი. ამასვე სწერენ ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთები. და მართლაც ამის უარყოფა შეუძლებელია: ფიქრები და გეგმები, რომლებიც გამოიხატა აწ განსვენებულ ლოკარნოს შეთანხმებაში, სასტიკად დამარცხდა იმავე ერთა ლიგაში, რომელიც უნდა ყოფილიყო მათი არსებობის უმთავრესი იარაღი.

ლოკარნოს „მთავარი სული“, ე. ი. შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ ევროპის საერთაშორისო პოლიტიკა მთლიანად უნდა დამორჩილებოდა ინგლისის იმპერიალიზმს. ასეთი მიზნის მისაღწევად საფრანგეთსა და გერმანიას უდნა ჩაეკლათ მტრობა ერთმანეთისადმი, შემდგარიყვნენ შერიგების პოლიტიკის გზაზე და ერთად შებმულიყვნენ ინგლისის იმპერიალიზმის უღელში.

მასთან ერთად, ინგლისის პოლიტიკის ღირსეული მსახური რომ ყოფილიყო, გერმანიას უნდა აღედგინა თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა. ამიტომ გერმანია უნდა შესულიყო ერთა ლიგაში, სადაც უნდა მიეცათ მისთვის მუდმივი ადგილი.

ამ მიზნით ინლისის იმპერიალიზმი ძალას ატანდა ხან საფრანგეთს, ხან გერმანიას, ხან ერთსაც და მეორესაც ერთ და იმავე დროს და ამ გზით ფიქრობდა გამხდარიყო საბოლოოდ ერთა ლიგის სრული ბატონპატრონი და მაშასადამე, ლიგის საშუალებით, ევროპისა, და, შეიძლება, საერთაშორისო ურთიერთობის მბრძანებელიც.

ეს კი დაასუსტებდა საფრანგეთის იმპერიალიზმის საერთაშორისო წონას, და ამიტომაც საფრანგეთი დიდის უხალისობითა და გულჩახვეულობით შეხვდა „ლოკარნოს სულს“. ის იძულებული შეიქნა მიეღო ლოკარნოს შეთანხმება, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას საფრთხე მოელოდა დარჩენილიყო განმარტოებით მის წინააღმდეგ მიმართულ ინგლის—გერმანიის კავშირის წინაშე. მაგრამ ის (საფრანგეთი) სცდილობდა „განეხორციელებია ლოკარნოს სული“ იმ ანგარიშებით, რომ გერმანიას არ ჰქონებოდა ახალი გაძლიერების საშუალება.

აი რატომ იყო, რომ საფრანგეთმა წამოაყენა მოთხოვნილება, რათა ერთა ლიგის საბჭოში ადგილი მინიჭებოდა არა მარტო გერმანიას, არამედ საფრანგეთის ერთგულ მსახურს—პოლონეთსაც. იმავ დროს საფრანგეთის დიპლომატები ყოველმხრივ მხარს უჭერდენ ლიგაში მუდმივი ადგილის მიცემაში ესპანეთსა და ბრაზილიას; მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოს ამ ახალ წევრების სახით შექმნიდენ საწინააღმდეგო ძალას, რომელსაც დაეყრდნობოდენ თუ რომ დავა აუტყდებოდათ ინგლისსა და გერმანიასთან.

მართალია, გერმანიის მინისტრები იმუქრებოდენ, რომ ისინი უარს იტყვიან ლიგაში შესვლაზე, თუ რომ, ერთა ლიგის საბჭოში ადგილს მიიღებს ვინმე საბჭოში. მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმს საკმაოდ მოეპოვება საშუალებანი ძალა დაატანოს როგორც გერმანიას ისე საფრანგეთსაც. და უკვე მზად იყო კომპრომისი (დათმობა), რომლის თანახმად გერმანიას ექნებოდა მუდმივი ადგილი ლიგის საბჭოში, ხოლო პოლონეთს — ჯერ- ჯერობით „დროებითი“ ადგილი. საჭირო იყო ამ კომპრომისის ჩამოყალიბება კენჭის ყრით, მაგრამ მოხდა ის, რაც არ ჰქონია გათვალისწინებული ინგლისის იმპერიალიზმს.

ბრაზილიამ განაცხადა, რომ თუ მასაც არ მისცემენ ადგილს საბჭოში, მაშინ ის წინააღმდეგ მისცემს ხმას გერმანიის მიღების საკითხს ლიგაში, ე. ი. ჩაშლის საკითხს, ვინაიდან ლიგაში წევრის მიღება უნდა გადასწყდეს ერთხმად.

რასაკვირველია, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლებოდა ბრაზილიის დელეგატის შეყვანა საბჭოში, მარტო ამაში რომ ყოფილიყო საქმე. მაგრამ საქმე უფრო სერიოზული აღმოჩნდა.

ცხადი იყო, რომ ბრაზილიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ იხსნიდა საქმეს ახალი მოთხოვნილებისაგან ესპანეთის, ან სხვა რომელიმე ქვეყნის მხრივ, რომლებიც ნაწილობრ სცდილობენ მიიღონ ადგილი საბჭოში, ხოლო ნაწილობრ ეძებენ საბაბს „ჩაკლან ლოკარნოს სული“.

ბრაზილიის მოულოდნელი ჯიუტობა აიხსნება იმ სახელმწიფოს ფარული თამაშით, რომლის იმპერიალიზმი უფრო ძლიერია, ვინემ ინგლისის; ეს სახელმწიფო არის ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის კაპიტალი არ კმაყოფილდება უკვე ევროპის წმინდა ეკონომიური დაპყრობით; ის თანდათან ილტვის ბატონის როლისთვის ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაშიც. და „ლოკარნოს სული“, რომელიც ჰქმნიდა საერთაშორისო ბლოკს (კავშირს) ინგლისის ხელმძღვანელობის ქვეშ, ვერ აკმაყოფილებდა შეერთებული შტატების მისწრაფებებსა და მიზნებს.

ამერიკის კაპიტალს არ სურს დაუშვას ინგლისის ხელმძღვანელობა, ვინაიდან მას სურს თავს მოახვიოს ევროპას თავისი ხელმძღვანელობა.

შეერთებულმა შტატებმა ბრძანა, ბრაზილიამ თავს იდო ბრძანების ასრულება... და „გარდაიცვალ ლოკარნოს სული“, ამერიკამ კიდევ ერთხელ დაანახა ქვეყანას, რომ ის არის ბატონი თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

ა. ხ.

---

*) ლოკარნო—ქალაქი შვეიცარიაში, სადაც მოხდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების კონფერენცია და შემუშავებულ იქნა გეგმა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისთვის. აქ სახელმწიფოებმა მიაღწიეს ერთგვარ შეთანხმებას, მაგრამ ის იყო მოჩვენებითი, ვინაიდან ერთა ლიგის სესიაზე აშკარად გამომჟღავნდა ხსენებულ სახელმწიფოებ შორის წინააღმდეგობა და ლოკარნოს შეთანხმება, ანუ როგორც მას უწოდებდენ, „ლოკარნოს მშვიდობიანობის სული“ გაჰქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

მე-2-რე ქართულ დივიზიის ნაწილების საყურადღებოთ.

1-ლ აპრილს თავდება კონკურსი ჩვენს დივიზიაში: საუკეთესო მკითხველზე, ცვალებადელზე, მეთაურ—საზოგადო პოლიტიკურ მომუშავეზე, სამხედრო საქმით მეტად დაინტერესებულ პოლიტ-მომუშავეზე, ბიბლიოთეკარზე, სამხედრო კუთხეზე და წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ მასწავლებელზე.

კონკურს ჯერ ზოგი ნაწილები არ გამოეხმაურა. საჭიროა დაჩქარდეს ყველა ნაწილებიდან მასალების მოწოდება.

დაჯილდოების პირობები გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს № 61 (1516) მარტის 18-დან.

რედაქცია.

მე-6-სე ქართული ლეგ. მეთაურს და სამხედრო კომისარს.

საქართველოს წითელი ლაშქრის არსებობიდან 5 წლის თავის შესრულების და განათლების მუშაკთა კავშირიდან დროშის ჩაბარების გამო თქვენდამი რწმუნებულ ლეგიონის მესამე ასეულის უფ-პოლიტ-ძირითად და ცვალებად შემადგენლობის წითელი არმიელები, მხურვალეთ მოგესალმებათ, როგორც თქვენ, ისე მთელი ლეგიონის შემადგენლობას და გისურვებთ მომავალშიდაც დიად მიღწევებს საქართველოს წითელი ლაშქრის ტერიტორიალური აღმშენებლობის განმტკიცების საქმეში.

ასეულის მთელი შემადგენლობა ფიცს სდებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ იმ წითელ დროშას, რომელიც ჩაიბარა განათლების მუშაკთა კავშირისაგან, მიიტანს საბოლოო გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!
სე-3-მე ასეულის მეთაური ცხვედიანი.
პოლიტხელი ნ. ასათიანი.

მოვაწყვეთ კითხვა პასუხის საღამო.

მე-6 ლეგიონის სკოლა.

სკოლის გარეშე მუშაობაში სხვა და სხვა ბირთვებთან განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი პოლიტ-ბირთვს. მან თავიდანვე მოიხვეჭა მასაში ავტორიტეტი თავისი საქმიანი მუშაობით. ა/წ. 25 მარტს პოლიტ-ბირთვმა მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო, იმ საუბარ-მოხსენებებიდან, რომელიც ჩატარებული იქნა მის მიერ მიმდინარე თვეში.

კითხვები შედგენილ იქნა პოლიტ-ბირთვისაგან და გამოტანილი იქნა მასაში „ლატარეის“ სახით.

კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი, დაჯილდოვებულ იქმნენ წიგნებით, რვეულით და სხვა, რომელიც გაიღო ლეგ-ბიბ-გამგემ და რომლისთვისაც მას პოლიტ-ბირთვი მადლობას უცხადებს. კითხვა-პასუხის საღამოზედ მონაწილეობა მიიღო თვით სკოლის უფროსმა, მეთაურთა შემადგენლობამ, და ლეგ-ბიბ-გამგემ. საღამომ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე და სურვილი გამოსთქვეს ხშირად მოაწყონ ასეთი ხასიათის შეჯიბრი.

სკოლის გარეშე მუშაობამ ჩვენთან შეძლო მასაში თვითგანვითარების შეტანა.

სამხკორი დ. კახიძე.

უკანასკნელი ტერშეკრება მე-5 ლეგიონში.

მე-3 ათასეული.

ათასეულმა იშვიათი აღფრთოვანებით ჩაატარა მოკლე ვადიანი შეკრება. უკანასკნელი შეკრება, რომელიც მოხდა 20 მარტს ამის საუკეთესო დამამტკიცებელი იყო. არ ყოფილა შემთხვევა დეზერტირობის. ყველა ერთსულოვნად და მხიარულად ცხადდებოდენ ათასეულში. მეთაურებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ეს გარემოება. წარმატებით იქნა ჩატარებული როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობა. ცვალებადელებმა ბევრი რამ შეითვისეს ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში და რაც უმთავრესია მიიღეს გამოცდილება თუ საჭიროების დროს როგორ უნდა მოიყარონ თავი.

უკანასკნელ შეკრების დროს მოხდა მანევრები სროლაში, რომელიც მთელი ორი დღე გაგრძელდა. ბევრმა გამოიჩინა თავი სროლაში. ამორჩეული იქნენ საუკეთესო მსროლელები და დაურიგდათ ჯილდოები.

უკანასკნელი შეკრებით დამთავრდა მოკლე ვადიან ტერშეკრებები. ამის აღსანიშნავად ათასეულის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ კერძო მოქალაქენი და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

ცვალებადელებს მიეცათ ზოგიერთი დარიგებანი. მათაც ფიცი დასდეს, რომ ყოველი დაძახებისთანავე მზად არიან მყისვე მოიყარონ თავი თავის ნაწილში.

სამხკორი გვანცალაძე.

მე-9-რე ასეული.

20—21 მარტს მოხდა ცვალებადელების უკანასკნელი შეკრება. ეს უკანასკნელი დღეები გამოყენებული იქნა სროლაში მეცადინეობისათვის. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ასეული მაინც გაემგზავრა სროლის მოედანზე. მეცადინეობამ წარმატებით ჩაიარა. ამნაირად სრულიად შევასრულეთ ჩვენი ამოცანა. შეკრებამ ყოველმხრივ გაამართლა იმედები. ეს დაწვრილებით აღინიშნა ცვალებადელების გაშვების წინ მომხდარ საზეიმო კრებაზე.

კრებაზე გამომუშავებულ იქნა აგრეთვე წესები თუ როგორ უნდა დავიჭიროთ მუდმივი კავშირი ერთმანეთთან. ამის შემდეგ ცვალებადელები მწყობრად, მხიარული ყიჟინით და სიმღერით გაეშურენ თავიანთ სოფლებისაკენ.

სამხკორი აჭარელი.

მე-2 ათასეული.

ათასეულის მოკლე ვადიანი შეკრება წარმატებით ჩატარდა. ცვალებადელები უკლებლად ცხადდებოდენ ყოველთვის. უკანასკნელ 20—21-ს შეკრებამ ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო. 20 მარტს ქალაქის პროფკავშირთა კლუბში ადგილობრივ პარტკომთან შეთანხმებით გაიმართა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრენ პროფესიონალური ორგანიზაციებიც.

კრება გახსნა პარტკომის წარმომადგენელმა და მიულოცა დამსწრეებს საქართველოს წითელი არმიის არსებობის ხუთი წლის თავი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სხვა ამხანაგებიც.

უკანასკნელ დღეს მოეწყო ცვალებადელებთან საუბარი იმის შესახებ, თუ რა მოგვცა შეკრებამ და როგორი შედეგები მოიტანა, რა უნდა აკეთოს ცვალებადელმა სოფელში და როგორი კავშირი უნდა დაიჭირონ ათასეულთან.

სამხკორი ძე.

„ბატმა კნიაზი ჩაყლაპა“.

(დასასრული)

IV

—ახალციხის ბოლოსაო,
ვირი სძოვდა ღოლოსაო;
კოჭლი გიგოს მომპარავი
გამოჩნდება ბოლოსაო.

გამოუთქვა ვიღაცამ,—რომელსაც მეფანდურენი დღესაც კი მღერიან ხოლმე,—რა ნამდვილი დამნაშავე ვერ იპოვნეს.

მაგრამ საქმე მაინც არ შეჩერეს.

ხუთი გლეხი მისცეს სამხედრო-საოლქო სასამართლოში.

ესენი იყვნენ: ახალქალაქიდან—ბოჭორაძე, ნიაბიდან—კრიჭაშვილი, გარიყულიდან—სულუაშვილი, ერთაწმინდიდან ზარიძე—ბატკუაშვილი, კავ[illegible]ხევიდან—კაპანაძე.

დამამტკიცებელი საბუთი ვერაფერი უნახეს, ირკვეოდა, რომ ყველა კერძო ინტერესით, დაბეზღებით იყვნენ ჩაბმულნი; სასამართლოში მოწმეებიდან ირკვეოდა, რომ საშინელი წამება მიაყენეს სოფლებს, თითქმის გონება შეშლილ ბავშვებს ათქმევინეს ამათზე, რომ თითქოს ესენი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, ამას არ უარყოფდა თვით ნამამასახლისარი ჩიკოიძეც; ყველა ხედავდა ამათ უდანაშაულობას, მაგრამ თავადი ესტატე თარხნიშვილი კი დაჟინებით მოითხოვდა მათ დასჯას.

ეს უკანასკნელი შემდეგ გაგიჟდა და ისე მოკვდა.

— უმანკო მსხვერპლების ცოდვამ უყო!

იტყოდენ ხოლმე დედაკაცები.

სასამართლოში ყველა იმ აზრის იყო, რომ თითქოს იგი გახურებულ საკირეში ჩაეგდოთ, ექსპერტიზაც მოახდინეს, მაგრამ სინამდვილე მაინც ვერ გაიგეს, საიდუმლოებას ფარდა ვერ ახადეს...

ოთხს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს: ბოჭორაძეს, რომელსაც თითქოს ტომარაში ჩაესვას და წამოეკიდოს, კრიჭაშვილს, სულუაშვილს და ზარიძე—ბატკუაშვილს, რომელთაც თითქოს მონაწილეობა მიეღოთ მის მკვლელობაში; ეს უკანასკნელი ყველას საყვარელი იყო, საუკეთესო მონადირე და მელექსე, წითელ რაზმის ერთი მეთაურთაგანი, და უფრო ამისთვის ჩააბეს.

კაპანაძე გაამართლეს, მაგრამ რა სოფელში დაბრუნდა, მესამე დღეს გარდაიცვალა.

ამბობდენ ინაღვლა და მიტომაო, რადგანაც მისი ამხანაგები დაისაჯენ და ის კი გაამართლესო, რაიც თავის დამცირებად მიიღო, რომ ისიც მათთან არ ამყოფესო.

მეფის წყალობით ორ პირველს სამუდამო კატორღად შეუცვალეს, ორ უკანასკნელთ კი ოც-ოცი წლისად.

ეს ორი უკანასკნელი საკატორღო ციხეებში დაიხოცენ.

ბოლოთქმა:

აჰა, უკვე ორი ათეული წელი გადაითვალა, მაშინდელ ჯალათ წესწყობილების ნანგრევებზე დამყარდა შრომის მეუფება და, თავისუფლების გიჟი გრიგალით ამაყად აფრიალდა ზედ ის ლამაზი წითელი დროშა, რომელიც დაღუპულ გმირებს ეჭირათ ხელში...

დღეს ირკვევა, რომ მაშინ, კერძოდ არავინ ყოფილა დამნაშავე, არამედ იყო გლეხობის ერთიანი ნება...

„ტყის ძმებად“ წოდებული წითელი რაზმი მუშაობდა, ის არავის შეაწევდა გლეხობის უკანონოდ დასჯას...

მას მოჰკონდა შურისძიება...

—

დაათავა სოსომ, და კვლავ ჩამოჰკრა ფანდურს...

წითელარმიელებზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ამ ნაამბობმა...

ყაზარმა საძილედ ემზადებოდა...

ახალი დარტყმა იღერებოდა საიერი მოდ...

ს. ერთაწმინდელი.

კონკურსი საუკეთესო მუშაკებზე.

საუკეთესო მკითხველი წითელარმიელი.

ბუჩუკური ალექსანდრე. გამოწვეულია წითელი არმიის რიგებში 1925 წლის მაისიდან. ასეულში მოსვლისთანავე მან დაიმსახურა ნაწილში აქტიური წითელი არმიელის სახელი. სისტემატიურად დაიწყო სამკითხველოდან წიგნების გატანა, და ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა. ამხ. ბუჩუკური აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობაშია. წაკითხული აქვს დღემდე სულ 38 პოლიტიკური სამხედრო და საერთო საგანმანათლებლო ხასიათის წიგნი.

წაკითხულ წიგნებიდან როგორც ჩაბარების დროს ირკვეოდა ამხ. ბუჩუკური კარგად ითვისებდა შინაარსს. წაკითხული წიგნებიდან ადგენს კონსპექტს, იწერს გაუგებარ სიტყვებს და შეაქვს ასეულის კითხვათა პასუხის რვეულში. მისი შეკითხვების რიცხვი დღემდე აღწევს სულ 187-მდე. კითხულობს სისტემატიურად ყველა ქართულ გაზეთებს, სისტემატიურად აწვდის მასალებს კედლის გაზეთებს და დრო გამოშვებით კი გაზეთ „წითელ-არმიელს“. ღებულობს მონაწილეობას სხვა და სხვა წრეებში, როგორიცაა პოლიტიკური, საერთო საგანმანათლებლო და სამხედრო, სადაც საუკეთესო მსმენელად ითვლება შეთვისების მხრივ. არ დაკლებია ასეულში არც ერთ მოხსენებას და კრებას და აძლევს მომხსენებელს მრავალ შეკითხვებს. სისტემატიურად ატარებს გაზეთების ხმამაღალ კითხვას. მეტად აინტერესებს საერთაშორისო და რადიო ამბები. წიგნს ძლიერ კარგათ უვლის. სცდილობს ჩაითრიოს წიგნის კითხვაში და სკოლის გარეშე მუშაობაში წითელარმიელები. ეხმარება ბიბგამგეს მუშაობაში. ამხ. ბუჩუკური ძლიერ კარგათ ითვისებს აგრეთვე სპეციალურ საგნებს, რომელსაც გადიან სკოლაში და ამ მხრივაც ერთ საუკეთესო წითელარმიელად ითვლება.

მე-2 მესანგრე ასეულის ბიბგამგე მ. სიხარულიძე.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

ასეულის საუკეთესო ბიბლიოთეკარი.

1903 წელში დაბადებულთა გამოწვევის და დანაწილებისას ასეულებში, საკავშირო ასეულში მოხვდა ამხ. შალამოვი, რომელიც პირველ დღიდანვე ჩაება აქტიურ მუშაობაში. ის დაუახლოვდა ლეგიონის ბიბლიოთეკას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბიბსამუშაოებში.

შალამოვის ენერგია მოწმობდა იმას, რომ ის საუკეთესო მომუშავე გამოვიდოდა წითელ არმიელთა შორის, რისთვისაც ამხ. დაინიშნა საკავშირო ასეულის ბიბლიოთეკარად. ამ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან შალამოვი მეტის ენერგიით მოეკიდა საბიბლიოთეკო საქმიანობას და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში სათანადო მიღწევები მიიღო, წითელ არმიელთა 80 პროც. გახადა მკითხველებად და ასეულის შემადგენლობიდან თითქმის 100 პროცენტი ჩაითრია სხვა და სხვა ბირთვების მუშაობაში. ატარებს სისტემატიურად ხმამაღლა კითხვას როგორც გაზეთის, ისე წიგნებიდან; სათანადოთ აქვს დაყენებული საგაზეთო და საცნობო მუშაობა, აქვს მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელიც თავისი გარეგნული შეხედულებით დამაკმაყოფილებელია და ხელს უწყობს წითელ არმიელების მიზიდვას კუთხეში.

მე-6 ლეგ. ბიბ-გამგე
ბარხუდაროვი.

ჩაატარეთ მანევრები.

მე-2 არტლეგ. 1-ლი დივიზიონი.

კვირას, 21 მარტს დასრულდა ქ. ხონში ცვალებად შემადგენლობასთან მეცადინეობა. ყველა შეკრების მუშაობა მიმდინარეობდა სისტემატიურად, როგორც პოლიტიკურად ისე სამხედრო მეცნიერების მხრივ და არ ყოფილა შემთხვევა წესრიგი დარღვეულიყო ცვალებად შემადგენლობაში და პირიქით დიდის აღფრთოვანებით სწავლობდენ ყველაფერს რაც კი ევალებოდათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეთაურების მოპყრობა ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელებზე. ამას ამტკიცებდა ცვალებადელების სიტყვები, რომლითაც ისინი იხსენიებდენ თავიანთ მეთაურებს.

ცვალებად შემადგენლობამ ერთხელ მოაწყო მანევრები ქვემეხებით, გასროლილი იქნა 6 ვაზნა.

მანევრებმა ძლიერ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. ამნაირად დასრულდა მოკლე ვადიანი შეკრება, რამაც მრავალი მიღწევების წინაშე დაგვაყენა ტერსისტემის განმტკიცების საქმეში.

ცვალ. წ. არმ. ქოჩორა.

სამხკორის კუთხე

ძირედი ნაწილის სამხკორის მოვალეობაა-დაეხმაროს ცვალებადელ სამხკორს.

ჩვენი სამხკორთა საერთო ფრონტის ერთ სუსტ ფრთას აუცილებლად ცვალებადელი სამხკორები წარმოადგენენ. ეს გასაგებიც არის. ძირედ ნაწილის სამხკორს გაცილებით უფრო კარგ პირობებში უხდება მუშაობა და მეტი შესაძლებლობაც აქვს გააფართოვოს ეს მუშაობა, ვინემ ცვალებად შემადგენლობის სამხკორს.

პირველის მუშაობა სწარმოებს ყაზარმის პირობებში, უფრო ხელსაყრელ სინამდვილეში. ყოველთვის შეუძლია მიიღოს რჩევა-დარიგება უფრო მომზადებულ ამხანაგებისგან, პარტიულ ორგანიზაციისა და პოლიტმომუშავეებისაგან.

ცვალებად შემადგენლობის სამხკორისათვის

ამ მხრივ საქმე უფრო გართულებულია. ხშირად მას განმარტოებულად უხდება სოფელში მუშაობა და ვერვინ უწევს საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას. ცვალებადელი სამხკორის დახმარება მის მუშაობაში—უდიდესი ამოცანა არის ძირედი ნაწილების სამხკორებისათვის.

ბევრს ჰგონია, რომ ამ მხრივ—შეკრებათა შორის პერიოდში შეუძლებელია რაიმეს გაკეთება. მაგრამ ეს არ არის მართალი. ძირედი ნაწილის სამხკორთა წრეს და კედლის გაზეთის რედკოლეგიას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ცვალებადელი სამხკორისათვის.

რა შეიძლება გაკეთდეს?

ტერნაწილის სამხკორთა წრე ან კედლის გაზეთის რედკოლეგია უნდა ცდილობდეს მჭიდრო კავშირში იყოს თავისი ნაწილის ცვალებადელ სამხკორებთან. როგორ შეიძლება კავშირის დაჭერა? როგორც წერილობით, ისე პირადათ.

ტერნაწილის თითეულ კედლის გაზეთში შემოღებული უნდა იქნეს (თუ არ არსებობს ასეთი) თავისი ნაწილის ცვალებადელთა კუთხე, სადაც უნდა გაშუქდეს მათი ცხოვრება და მუშაობა სოფლად.

ცვალებადელთა მიზიდვა ნაწილის კედლის გაზეთის კორესპონდენტებათ კიდევ უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს ამ კავშირს. საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცვალებადელის წერილებს და გარკვევით გაეცეს პასუხი ყველა მათ მიერ მოცემულ შეკითხვებს. ეს წესად უნდა იქნეს შემოღებული. ამხანაგური წერილებით, რომლებსაც ხშირად უნდა მიმართავდეს სარედაქციო კოლეგია და სამხკორთა წრე, ადვილად შეიძლება მიეცეს ცვალებადელ სამხკორებს საჭირო დარიგება—რჩევა და ინსტრუქციები. თუ სერიოზულად მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს შეიძლება საუკეთესო შედეგების მიღება.

საუკეთესო საშვალებად უნდა ჩაითვალოს ამ მხრივ აგრეთვე კედლის გაზეთების გაცვლა-გამოცვლა ნაწილის ძირედ და ცვალებადელთა შემადგენლობის შორის.

თავისი კედლის გაზეთის სოფელში გაგზავნით ნაწილის რედკოლეგია გარდა იმისა, რომ დაწერილებით აცნობს სოფელს წითელი არმიის ცხოვრებასა და მუშაობას, დახმარებას უწევს მას საკუთარი გაზეთის შეცდომების გათვალისწინებაში. ნაწილის კედლის გაზეთის დაყენების გაცნობით ცვალებადელები ეჩვევიან საკუთარ გაზეთზე წესიერად მუშაობას და აუმჯობესებს მას. ნაწილის კედლის გაზეთი საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი იქნება ამ მხრივ მათთვის.

ხოლო მეორე მხრივ ნაწილში მიღებულ ცვალებადელების გაზეთის გადათვალიერებით ძირედ შემადგენლობის მომუშავეები ითვალისწინებენ სოფლის ამხანაგების შეცდომებს და აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

კერძოთ რაც უმთავრესია, უნდა მიეცეთ რჩევა-დარიგება სამოქალაქო გაზეთებში სამხედრო განყოფილების დაყენების შესახებ.

კარგი იქნება ჩვენი ტერნაწილების სამხკორთა წრეები კარგათ გაეცნობოდენ ამ წინადადებებს და შეძლების და გვარად გაატარებდენ მას ცხოვრებაში.

ს.

მოქალაქეთა სამხედრო უცოდ. ლიკვიდაციას მალე მოვახდენთ.

მე-5-თე ლეგიონის მე-3-მე ასეულში

ჩვენი ასეული დიდ ყურადღებას აქცევს ლეჩხუმის მაზრაში მოქალაქეთა გასამხედროებას. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ დაშორებული ვართ ნაწილზე, მაინც ბევრს ვაკეთებთ ამ მხრივ.

სულ გვაქვს დაარსებული სამი სამხედრო კუთხე, ერთი ასეულში, მეორე ქ. ცაგერის სამკითხველოში, კუთხე მორთულია პლაკატებით და ლოზუნგებით. მრავლად მოიპოვება სხვა და სხვა სისტემის იარაღები, დიაგრამები მათი ნაწილების და სხვა.

დაარსებულია სამხედრო და ქიმიის სწავლების წრეები, სადაც მონაწილეობას ღებულობენ გლეხობა და პოლიტ-სკოლის მსმენელბბი. ამ კუთხეზე მიმაგრებულია ერთი ოც. მეთაური და ქიმ-ხელმძღვანელი, რომლებიც აწარმოებენ მათთან სისტემატიურ მეცადინეობას. მთელი ახალგაზრდობა დიდი მოხარული არის წრის ასეთი მეცადინეობით და დაინტერესებული არიან შეისწავლონ სამხედრო საქმე. მე-3-მე სამხედრო კუთხე კი გვაქვს დაბა ლაილაში.

მეცადინეობა ყველა კუთხეებში ტარდება.

იმედია მოქალაქეთა სამხედრო უცოდინარობის ლიკვიდაციას მალე მოვახდენთ.

მე-3-მე ასეული ფხიზლად სდგას თავის სადარაჯოზე.

სამხკორი გიორგობიანი.

ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. დეისაძის გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ქალაქ ლანჩხუთის—ჯუნჯვათის უბნის ეწერის ქოხსამკითხველოსათვის სამი თვით და ვიწვევ 1-ლ ლეგიონიდან შემდეგ ამხანაგებს: 1) მათე ვაშაკიძეს (4 ასეულის მამასახლისს) 2) ვასილ გეგეჭკორს (მე-8 ასეულის მამასახლისს), 3) გიორგი ზერეკიძეს (მე-6 ასეულის მამასახლისს), 4) მამასახლისს მე-9 ასეულისას ამხ. ქათამაძეს, 5) ბაგრატ მიქაძეს (მე-2 ასეულის მამასახლისს), 6) გრიგოლ ცაბიძეს, 7) იაკინთე ვეფხვაძეს 8) მე-2 ასეულის მეკუჭნავეს ამხ. კოწია გუნიას და საკავშირო გუნდის მეკუჭნავე ვასილ თოფურიას.

1-ლი ასეულის მამასახლისი პროკოფი ხელაძე.

ჩვენი საქმიანობიდან.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის მუშაობა ძლიერს გამოცოცხლდა ამ უკანასკნელად. გვაქვს ბევრი თვალსაჩინო მიღწევები როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. ეწყობა სასადილო. განზრახულია თითეულ წითელ არმიელისათვის ცალცალკე იქნეს შეძენილი ჰურჭელი. ჯერ-ჯერობით მოტანილია 300 ჯამი. თანდათან უმჯობესდება აგრეთვე კვების საქმეც და სხვა.

პოლიტსასკოლო მუშაობა.

ამ მუშაობის ცენტრად ითვლება სასკოლო კაბინეტი, რომელიც საუცხოვოდ არის მოწყობილი. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი დიდი იყო ლეგიონში. თავიდანვე ენერგიულად დაიწყო მათთან მუშაობა და სრული იმედია, რომ მოკლე ხანში წარმატებით დავამთავრებთ.

კლუბი.

კლუბმა შესძლო აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრად გამხდარიყო მთელს ლეგიონში. ხშირად იდგმება საღამო წარმოდგენები, იმართება საუბრები, ლექციები და სხვა. იმედია კლუბის უფროსი კიდევ უფრო გაანაყოფიერებს თავის საქმიანობას, რაც აუცილებლად დიდი შედეგების წინაშე დაგვაყენებ.

ქალთა მუშაობა.

ლეგიონში ჩამოყალიბდა ქალთა წრე, რომელიც კავშირშია ქალთა ბიუროსთან. წრეს თვეში დათმობილი აქვს კლუბი 3 დღე. ერთი კრებისა და 2 კი მეცადინეობისათვის.

სამკითხველო.

აქაც დაეტყო მუშაობას გამოცოცხლება. მოწყობილია შიგ სხვა და სხვა განყოფილებები შესაფერი დიაგრამებით და ლიტერატურით. მკითხველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ერთი ნაკლია მხოლოდ ის, რომ არ სწარმოებს ლენინის კუთხეების გადახალისება, რომელიც იმედია არ დაავიწყდება ბიბგამგეს და მიაწვდის შესაფერ ლიტერატურას.

კავშირი სოფლებსა და მუშათა ორგანიზაციებთან.

ლეგიონიდან გამოყოფილია სპეცი უფ-პოლიტშემადგენლობა და მიმაგრებული არიან სოფლებსა და მუშათა ორგანიზაციებზე გასამხედროების მიზნით მუშაობის საწარმოებლად.

ამ მხრივ ლეგიონს საკმაოდ აქვს გაშლილი ქსელი და წარმატებით აწარმოებს ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეში მუშაობას. მუშები და გლეხებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას და ყოველთვის სრულად ესწრებიან მეთაურების საუბრებსა და ლექციებს,

სამხკორი ის. გოგიტიშვილი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. ლეგიონის მე 3 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ესტატე ჯიშკარიანს, პარტიის კანდიდატი, თხოულობს პარტიის წევრად დამტკიცებას.

კომკავშირის წევრებს. ვასილ ურთმელიძეს, ს. მურვანიძეს და ისაკი ვეშაგურს, თხოულობენ პარტიის კანდიდატებათ გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათ შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ხსენებულ უჯრედში.

მეორე ლეგიონის მეთერთმეტე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: შ. მაქსიმეს ძე რევიშვილს და ალექსანდრე სიმ. დვალს.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ამხანაგების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი ენუქიძე.

ცირკულიარულად 24

მე-2-ე დივიზიის ყველა ნაწილების, მეთაურთა და პოლიტ-სკოლის, პოლიტგანის და სამხ. ტრიბუნალის ბიურო-კოლექტივებს და კომუჯრედებს.

27 მარტი 1926 წ.

სრულიად საქართველოს კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“ ამ ჟამად იწყებს მუშაობას მეაბრეშუმეთა კოოპერაციისათვის.

მეაბრეშუმეობას ჩვენს სასოფლო მეურნეობაში საგრძნობი ადგილი უჭირავს. ის ჩვენი გლეხობის შემოსავლიანობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ამიტომ საზოგადოება „აბრეშუმის“ ამოცანის დადებითად გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს სახალხო მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტების გაზრდისა, გლეხობის კოოპერაციისადმი მიზიდვისა და მათი კოლექტიური თანამშრომლობისათვის მომზადების საქმეში.

მეაბრეშუმეობის წარმატებითი განვითარება და მისი რაციონალიზაცია, რომლითაც დაინტერესებულია, როგორც სახელმწიფო ისე მოსახლეობა, შესაძლებელია მხოლოთ მეაბრეშუმეთა კოოპერატიულ გაერთიანების და ამ უკანასკნელებისადმი საბჭოთა აპარატების დახმარების გზით.

ნაწილების პარტორგანიზაციებმა სათანადო ყურადღებით უნდა მოეპყრან აღნიშნულ საზოგადოების ამოცანების ახსნა-განმარტებას, როგორც ძირედ შემადგენლობის, ისე ცვალებადელთა მასაში.

პოლიტგანყოფილების უფროსი მარკაროვი.

აგიტ. პროპ. ნაწილის უფროსი ადამაძე.

ახალი ამბები.

ტფილისის აღმასკომში.

—ჩამორთმეული სახლები. 1925—26 წელში ტფილისის აღმასკომმა 25 სახლი ჩამოართვა იმ პირებს, რომლებიც არ უვლიდენ სახლებს.

— მუშათა სახლი. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ მოიწონა პლეხანოვის პროსპექტის და მუშტაიდის ქუჩის კუთხეში ასაგებ მუშათა სახლის გეგმა.

— ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმს ივნისში უსრულდება არსებობის 105 წლის თავი. შესაფერ დღესასწაულის ჩასატარებლად დაარსებულია განსაკუთრებული კომისია.

— ტყის დაცვა. ტფილისის მაზრაში ტყის დასაცავად აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს ტყის დარაჯთა შტატი.

— ტალახის სამკურნალო. 15 აპრილს ყოფ. ირაკლის აბანოში გაიხსნება ტალახით სამკურნალო, რომლითაც ისარგებლებენ კავშირის წევრები.

—პროფილაქტიური საბჭო. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსდება პროფილაქტიური (ავადმყოფო[illegible] წინასწარ-გამაფრთხილებელ ზომების მიმღები) საბჭო, სადაც მიწვეული არიან წევრებათ დამზღვევ სალაროს, შრომის კომისარიატის დ პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

— სანიტარული ჟურნალი. აღმასკომს გაზრახული აქვს გამოსცეს სანიტარული ჟურნალი.

შემნახველი სალაროები.

— შემნახველი სალაროები. ამ ჟამად შემნახველ სალაროების რიცხვი ამიერ-კავკასიაში (სახელმწიფო და რკინის გზის გარდა) უდრის 317-ს.

— თებერვლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში არსებულ შემნახველ სალაროებში შეიტანეს 105.068 მანეთი.

◆◆◆◆◆◆XXXXX◆◆◆◆◆◆

რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წ თელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ცა.
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.
დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე,